შპს საქართველოს მელიორაცია
Georgian Amelioration LTD

N გ-517
24/02/2020

517-გ-2-202002241806

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გივი გიუტაშვილს

ბატონო გივი,

თქვენი 2020 წლის 14 თებერვლის N2367-2 წერილის პასუხად, რომელშიც დასმულია საკითხი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში მდებარე 475 კვ.მ (ს/კ 72.03.19.473) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შესახებ, რომელშიც გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი, გაცნობებთ, რომ კომპანია არ იქნება წინააღმდეგი აღნიშნული მიწის ნაკვეთი პრივატიზების ფორმით გაცემულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება არხის გასხვისების ზოლის (არხის ბერმიდან მარჯვენა მხარეს 4 მეტრი) დაცულობა, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003წ. N19 „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენაგასხვისების სამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ" ბრძანების შესაბამისად. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: (995 32) 2 001000
Georgia, Tbilisi, G. Gulua str. N6 Tel: (995 32) 2 001000
info@ag.ge www.ag.ge